ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7146647

ნომერი: AR11046665

თარიღი : 09.07.2024

გაცემის თარიღი : 01.08.2024

გაცნობის თარიღი : 01.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კატო მიქელაძის I შესახვევი, N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაურ აფციაური პ/ნ 01002001272
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 18 ბ. 34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისსსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის2024 წლის 08 ივლისის №7102590 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 ივლისს №AR11046665 განცხადებით მომართა მოქალაქე ზაურ აფციაურმადა მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 08 ივლისის №7102590 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2024 წლის 08 ივლისის №7102590 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, კატო მიქელაძის I შესახვევი №13-ში, (ს/კ: №01.72.14.007.768, ფართობი: 500.00 კვ.მ.) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთების წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში, შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 08 ივლისის №7102590 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 2024 წლის 08 ივლისის №7102590 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა- ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, ვბრძანებ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდესცვლილებაქალაქთბილისისსსიპ– თბილისისარქიტექტურისსამსახურის2024 წლის 08 ივლისის №7102590 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: შიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, დაფიქსირდეს ახალი საკადასტროგეგმა(საკადასტროკოდი№ 01.72.14.007.768, ფართობი 500.00, რეგისტრაციისნომერი№882024910227, რეგისტრაციისთარიღი09/07/2024წ.) და ამონაწერისაჯარორეესტრიდან(რეგისტრაციისნომერი№882024910227, რეგისტრაციის თარიღი 09/07/2024წ.);

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2024 წლის 08 ივლისის №7102590 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.